თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2988195

ნომერი: AR1458938

თარიღი : 24.11.2016

გაცემის თარიღი : 08.12.2016

გაცნობის თარიღი : 04.01.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მირცხულავა , N 9-11 / ქალაქი თბილისი , ალიო მირცხულავას ქუჩა N11ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნანა ინასარიძე პ/ნ 01007012487
- თბილისი ალ.მირცხულავას ქ. N 10 ბ. 42

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1458938 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით #AR1416021 ელექტრონული განცხადებით მოთხოვნილი საკითხის დადებითად და ითხოვთ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 23 ივნისს #AR1416021 განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე თინათინი თავხელიძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, ა. მირცხულავას ქ. #9–11-ში, ა.მირცხულავას ქ. #11ა-ში, კოსმონავტების სანაპირო #91-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: #01.13.04.017.100, #01.13.04.017.101, #01.13.04.017.085, #01.13.04.017.096) საცხოვრებელი უბნის (კომპლექსი) განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმება საკითხი, თანდართული უფლებრივი ზონირების რუკით, განსახილველად გადაგზავნილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, რომლის 2016 წლის 25 ნოემბრის #380 განკარგულებით მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების თაობაზე.

ამასთან გაცნობებთ,რომ ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, ა. მირცხულავას ქ. #9–11-ში, ა.მირცხულავას ქ. #11ა-ში, (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით, წარმოების განახლებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ, აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge